



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „თენექსის“ მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერიკო ჭილაძე

წევრები:

სახელი, გვარი: ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1

3/19



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს “თენექსი”

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: **405650549**

სახე:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2

3 19



- გეგმიური
- არაგეგმიური
- საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის MES 8 26 0000045583 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს „თენესში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტის" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმად განსაზღვრული აქვს ნაწილობრივ დისტანსიური სწავლება, რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 19 ნოემბრის №131/ნ ბრძანებით („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ) და მე-3 მუხლის, მე-10 პუნქტის შესაბამისად, „პროგრამის დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3 19



განხორციელების მიზნით დაწესებულება განსაზღვრავს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოების მიზნები გაფართოვდა და განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტის" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა), ბ.ბ), ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება (ბრძანების ცვლილება: სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანება MES 6 26 0000076460). გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა ვიზიტის დღის წესრიგი და ასევე, განისაზღვრა სტანდარტის შეფასებისთვის დოკუმენტაციის ჩამონათვალი და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტი განხორციელდა ბრძანების შესაბამისად შპს „თენექსში“ 2026 წლის 2 თებერვალს (მის: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალაიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შემოწმდა პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3 19





III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|--|---|--|---|---|
| "Front-end დეველოპმენტის" | 300 | 300 | 2 | 1 |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5

3/19





ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|--|--|
| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3/19



ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|--|
| პროგრამის სახელწოდება | "Front-end დეველოპმენტი" |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development. |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0613 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38/დისტანციური |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კომპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 200 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 300 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 500 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 19



| | |
|--|----|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8

Handwritten signature



IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|--|--|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3/19



- **ანაზღაურება და პერსპექტივა:** Front-end დეველოპმენტი იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალანაზღაურებადი სფერო, სადაც სპეციალისტის საშუალო ხელფასი 2,900 ლარია, ხოლო გუნდის უფროსის - 3,900 ლარი.
- **საერთაშორისო მოთხოვნა და დისტანციური დასაქმება:** შრომის ბაზრის კვლევაში ხაზგასმულია, რომ პროგრამირება არის სფერო, რომელიც არ შემოიფარგლება ლოკალური ბაზრით. საერთაშორისო სტატისტიკით (მაგალითად, *U.S. Bureau of Labor Statistics*), ვებ-დეველოპერებზე მოთხოვნა 2032 წლამდე 16%-ით გაიზრდება, რაც ბევრად აღემატება სხვა პროფესიების ზრდის ტემპს. შპს „თენქსი“ ითვალისწინებს ამ ტენდენციას და მიზნად ისახავს კადრების მომზადებას, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან საერთაშორისო აუთსორსინგ ბაზარზეც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტის“ პირდაპირ თანხვედრაშია შპს „თენქსის“ მისიასა და ღირებულებებთან:

- **ტექნოლოგიური ფოკუსი:** დაწესებულების მისიაა შექმნას თანამედროვე სასწავლო სივრცე, სადაც ციფრული ტექნოლოგიები ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში. პროგრამა ორიენტირებულია სწორედ ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევებზე საპასუხოდ კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.
- **ცოდნის გაზიარება:** დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა ცოდნის მუდმივი განახლება და მისი საჯაროდ გაზიარება. პროგრამა ითვალისწინებს დარგის გამოცდილი სპეციალისტების ჩართულობას, რომლებიც სტუდენტებს უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს აზიარებენ.
- **სიცოცხლის მანძილზე სწავლა:** პროგრამა პასუხობს კომპანიის ხედვას, შესთავაზოს საზოგადოებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კარიერული განვითარების სერვისები და შექმნას ხარისხიანი სასწავლო გარემო, სადაც პრიორიტეტული სტუდენტის ინტერესებია.

პროგრამის დანერგვა გათვალისწინებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან დოკუმენტებში:

- **სტრატეგიული გეგმა (2025-2032):** შვიდწლიანი გეგმის მიზანია რეგიონში თანამედროვე სწავლა-სწავლების სივრცის განვითარება და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დანერგვა. Front-end დეველოპმენტი განიხილება, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეგიონში საუკეთესო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- **სამოქმედო გეგმა (2026):** 2026 წლის გეგმის 1.1 ამოცანა პირდაპირ ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების/კურსების დანერგვას. გეგმაში დეტალურად არის გაწერილი აქტივობები: ბაზრის კვლევა (1.1.1), პროგრამის კონცეფციის შემუშავება (1.1.2) და უშუალოდ პროგრამის დანერგვა (1.1.3). გეგმა ასევე მოიცავს ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნას (1.2.3) და მათ საჯარო ხელმისაწვდომობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და შესაბამისობას თანამედროვე ციფრულ სტანდარტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელება სრულად მიზანშეწონილია, რამდენადაც იგი ეფუძნება რეალურ საბაზრო მოთხოვნას, პირდაპირ გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და სრულ თანხვედრაშია მის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანებით №83/23, ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №60/23) მიხედვით დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება; შიდა ტესტირება/გამოცდა (სწავლის დაწყებამდე შპს „თენექსის“ დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება შიდა ტესტირების/გამოცდის ვადები და პირობები.) დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები:

- ა) კომპანიის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
- ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
- გ) შერჩევა;
- დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
- ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ 2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა ჩარიცხული სტუდენტების მხოლოდ 8.19%-ს. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სხვა რიგ სტრატეგიულ ნაბიჯებთან ერთად შპს „თენექსმა“ მიიღო გადაწყვეტილება ჩარიცხვის ერთ-ერთი ეტაპის შიდა ტესტირების/გამოცდის გართულების შესახებ, რათა მეტად უზრუნველყოს დაშვებულ პირთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. აღნიშნული მიდგომა დაწესებულების მიერ დაიტესტა ბოლო მიღების ფარგლებში და მიმდინარე მაჩვენებლები ცხადყოფენ, რომ სხვა კომპლექსურ ნაბიჯებთან ერთად სტრატეგიამ გაამართლა. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა მიღების დროს ჩატარებული გამოცდის ნიმუშები, რომელიც თანხვედრაშია პროგრამის განხორციელების მიზნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის № 90/23 ბრძანება), რომლის თანახმადაც დაწესებულება კვოტის გაანგარიშებისას ითვალისწინებს აუდიტორიების (A,B,C), ადამიანური რესურსის და მატერიალური რესურსის რაოდენობას.

უნდა აღინიშნოს რომ შპს „თენექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ განხორციელებას გეგმავს ნაწილობრივ დისტანციური ფორმით (მოდულები „მეწარმეობა“ და „პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები“ - ნაწილობრივ დისტანციურად, ხოლო დანარჩენი მოდულები დისტანციურად). დაწესებულების სწავლების მოდელი აგებულია სინქრონული და ასინქრონული კომპონენტებზე. 50-კაციანი ჯგუფის მართვა ხორციელდება სპეციალიზებული პლატფორმების ერთიანობით:

- **Discord-ის სასწავლო სივრცე:** გამოიყენება როგორც ცოცხალი ინტერაქციის, ისე ქვეჯგუფებად დაყოფის მთავარი ინსტრუმენტი. სისტემაში ინტეგრირებული მონაცემებზე დაფუძნებული მონიტორინგის ბოტი რეალურ დროში აღრიცხავს სტუდენტთა ჩართულობას, რაც ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს, ოპერატიულად მართოს პროცესები. პლატფორმას შეუძლია გაატაროს ერთდროულად 160 000 ადამიანი, ამ ეტაპზე პლატფორმაზე ფიქსირდება 1200 აქტიური მომხმარებელი.
- **GitHub Classroom და Google Classroom:** ეს პლატფორმები უზრუნველყოფენ კოდის მიმოხილვის (Code-Review) და დავალებების ჩაბარების გამჭვირვალე პროცესს. სწავლება ორიენტირებულია წინასწარ განსაზღვრული ჩაბარების კრიტერიუმების (Acceptance Criteria) შესრულებაზე, რაც შეფასების ობიექტურობის გარანტიაა. აღნიშნული პლატფორმები არ ზღუდავს მომხმარებელთა რაოდენობას.

დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ჩაერთონ კოლეჯის ბაზიდან. ამისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს B გარემო - 5 (ჯამში 160 ადგილი).

გარდა ამისა, შპს თენექსი უზრუნველყოფს პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვას იმგვარად, რომ თითოეულის დატვირთვა არ აჭარბებს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას (40 საათი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 19



ზღვრული ოდენობის განსაზღვრა გამყარებულია მოთხოვნისა და მიღების რეალური მონაცემებით: 2025–2026 სასწავლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“ წინასწარი რეგისტრაცია გაიარა 2000-მდე აპლიკანტმა, Vet.emis.ge-ზე დარეგისტრირდა 900-ზე მეტი აპლიკანტი, რაც 3-ჯერ აღემატება პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. მიმდინარე ნაკადში სწავლა დაიწყო 303-მა პროფესიულმა სტუდენტმა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (დანართი 17). გამომდინარე, იქიდან, რომ პროგრამა ხორციელდება ნაწილობრივ დისტანციურად მატერიალური რესურსი ითვალისწინებს მხოლოდ 2 მოდულის „მეწარმეობა“ და „პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები“ ნაწილობრივ ადგილზე განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ამისა დაწესებულებას რესურსებში გათვალისწინებული აქვს დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პლატფორმების ფლობა. მოდულებში გაწერილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო და რელევანტური საგანმანათლებლო რესურსი.

ექსპერტთა შეფასებით **2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული არ არის არჩევითი მოდული. **2.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. შპს „თენექსი“- ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 3-ში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანებით №83/23 (ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №60/23).

ექსპერტთა შეფასებით **2.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის Front-end დეველოპმენტი; Front-end Development (06.1.1) საფუძველზე. შესაბამისად 2.1.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. შპს „თენექს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - Front-end დეველოპმენტი; Front-end Development (06.1.1) დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრული არის პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებს და სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც, რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

დაწესებულებას პროგრამის ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების დოკუმენტაციის შემუშავებისას გათვალისწინებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №143/6 "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" (ცვლილება: მინისტრის 2025 წლის 19 ნოემბრის ბრძანება №131/6) და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 26 დეკემბრის ბრძანება MES 5 25 0001849948 "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის მიმართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე".

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით 2.1.1.8 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შრომითი ბაზრის კვლევა 2024;
2. შპს „თენექსის“ მისია, ხედვა, ღირებულებები;
3. სამოქმედო გეგმა 2026;
4. სტრატეგიული გეგმა 2025-2032;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანებით №83/23, ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №60/23);
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი;
7. პროფესიულ სტუდენტთა მისაღებ ეტაპზე ჩატარებული გამოცდის ნიმუშები;
8. „პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის № 90/23 ბრძანება);
9. მატერიალური რესურსი დანართი 17;
10. პროგრამის დამტკიცების ბრძანება.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 19



პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მაგიდითა და სკამით, მასწავლებლის ერთი მაგიდით და სკამით, კომპიუტერით, დაფით და სადემონსტრაციო საშუალებით. აღნიშნული აუდიტორიები გამოიყენება მეორე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ მოდულის „მეწარმეობა“ ნაწილობრივ პირისპირ განხორციელებისთვის. სწავლება დაგეგმილია ცვლებში შეჭრილი ცხრილით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული იქნა აუდიტორიების გამტარუნარიანობა და დადგინდა, რომ აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს ორივე პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღნიშნული სამი მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას. დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელებისთვის დაწესებულებას შექმნილი აქვს სწავლების ციფრული ეკოსისტემა. სასწავლო პროცესის ცენტრალურ პლატფორმას წარმოადგენს **Discord-ზე დაფუძნებული სასწავლო სივრცე**, რომელიც მრავალ სერვისთანაა დაკავშირებული მათ შორის Github, Github classroom, google classroom, LMS სისტემასთან, მონაცემთა ბაზასთან და დაწესებულების ბოტთან. იგი გამოიყენება როგორც ძირითადი საკომუნიკაციო და ორგანიზაციული გარემო. პლატფორმას შეუძლია გაატაროს ერთდროულად 160 000 ადამიანის მომსახურება, ამ ეტაპზე პლატფორმაზე ფიქსირდება 1200 აქტიური მომხმარებელი.

პლატფორმის ფუნქციონალი სტრატეგიულად არის განაწილებული შემდეგი მიმართულებებით:

- **სინქრონული სწავლება:** ონლაინ ლექციებისა და სამენტორო სესიების ცოცხალი ინტერაქციის რეჟიმში წარმართვა;
- **სტრუქტურირებული კომუნიკაცია:** თემატური ტექსტური და ხმოვანი არხების მეშვეობით სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის მუდმივი კავშირის შენარჩუნება;
- **ადმინისტრაციული მართვა:** განრიგის, განცხადებებისა და სასწავლო მასალების ოპერატიული გავრცელება, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური მუშაობის ეფექტიან კოორდინაციას.

დაწესებულება იყენებს დარგობრივად სპეციალიზებულ პლატფორმებს, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული ერთიან ციფრულ სივრცეში:

- **GitHub Classroom:** Front-end დეველოპმენტის პროგრამის ფარგლებში ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს კოდის ვერსიების კონტროლს, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების ჩაბარებას, ასევე კოდ-რევიუს (Code-Review) პროცესის წარმართვას.
- **ეკოსისტემის სინქრონიზაცია:** Discord-ის ინტეგრაცია GitHub Classroom-თან და Google Classroom-თან ქმნის ერთიან სამუშაო გარემოს. ეს ამცირებს პლატფორმებს შორის დივერსიფიკაციას, უზრუნველყოფს დავალებების სტატუსის მუდმივ კონტროლს და ზრდის სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 19



ციფრულ სასწავლო ეკოსისტემაში რესურსებზე წვდომას განსაზღვრავს მინიჭებული როლები, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პლატფორმის გამოყენებას მისი ფუნქციიდან გამომდინარე. გაწერილი როლები გულისხმობს შემდეგს:

Prime Troubleshooter - სერვერის ადმინი;

NuclearScripter - სერვერის ბოტი;

Elder - ადმინისტრაციული გუნდი, პროგრამის კოორდინატორები, კარიერის გუნდი, ხარისხის კონტროლი;

Mentor - ამ როლში ერთიანდება 10X -ის ყველა ლექტორი და მენტორი;

Assistant - სტუდენტს შეუძლია გახდეს ასისტენტი. ამ როლზე კურსის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ;

Alumni - წარმატებული კურსდამთავრებულები, რომელთაც ეძლევათ კარიერული შესაძლებლობები და ახალი ნეთვორქინგის არხები შესაბამისი კონტენტით;

სასწავლო პროგრამის რელაციური როლები. როლები სტუდენტს ენიჭება იმ პროგრამის მიხედვით რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობს: **Developer, Designer, Manager, Advertiser;**

Wanderer - სასწავლო სივრცის უსაფრთხოებისა და Discord raid-ების თავიდან აცილების მიზნით everyone როლს თითქმის არაფერზე არ აქვს დაშვება. ვანდერერის როლში ხდება ყველა “უცხო” რომლის იდენტიფიცირებას ხდება შემოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში. ასევე ვანდერერის როლში ხდება ყველა სტუდენტი ვინც ვერ ასრულებს კურსს.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში დანერგილია მონიტორინგის უნიკალური მექანიზმი - Python-ის ბაზაზე შექმნილი ბოტი („Big Brother“). აღნიშნული ინსტრუმენტი 24/7 რეჟიმში ახორციელებს:

- სტუდენტთა დასწრებისა და სესიებში გატარებული დროის ავტომატურ აღრიცხვას;
- აქტივობისა და ჯგუფურ სამუშაოებში ჩართულობის დინამიკურ ანალიზს;
- დავალებების შესრულების გრაფიკის კონტროლს. მოგროვებული მონაცემები ინტეგრირებულია შიდა ბაზასთან, რაც იძლევა სასწავლო პროცესის მუდმივი ოპტიმიზაციისა და ობიექტური შეფასების საშუალებას.


გამოყენებული პლატფორმების ერთობლიობა იძლევა პროგნოზს, რომ:

- პროფესიულ სტუდენტებს აქვთ თანაბარი და უწყვეტი წვდომა ყველა სასწავლო რესურსზე;
- სრულად არის დაცული ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო მოთხოვნები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3/19





რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ძირითადი თეორიული მასალის ახსნას და ინსტრუქტაჟის ჩატარებას, ხოლო მენტორი მასწავლებელი უზრუნველყოფს პრაქტიკული დავალების შესრულების მენტორინგის პროცესს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს მენტორ მასწავლებლებად ძირითადად შერჩეული ჰყავს საკუთარი კურსდამთავრებულები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დირექტორის 2025 წლის 27 ოქტომბრის ბრძანების №73/23 შპს „თენექს“-ში ვაკანსიების გამოცხადების შესახებ, ცხადყოფს რომ პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენს დარგში მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება. ამავე ბრძანებით რეგულირდება კურსდამთავრებულებისათვის კონკურსის გამოცხადება მენტორი მასწავლებლის შერჩევის მიზნით. კონკურსის პირობებში მენტორი მასწავლებლისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს წარმოადგენდა მინიმუმ 1 წლიანი პროფესიული გამოცდილება ან/და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრების პირობებში მოხდა მოკვლევა კურსდამთავრებულების მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობების დადგენის მიზნით. პასუხისმგებელი პირების წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მენტორ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება წარმატებულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ პროფესიული მასწავლებლის ასისტენტის სტატუსი, რომლის ფარგლებშიც ისინი აქტიურად ჩართული არიან სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში და ეხმარებიან მასწავლებელს მისი ფუნქციების შესრულებაში, რაც მათ დარგობრივ პროფესიულ უნარებთან ერთად გამომუშავებს სწავლების მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენების უნარებს.

აღნიშნული ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს ელექტრონულ პლატფორმებზე (Discord, GitHub Classroom, Google Classroom), მათ შორის ონლაინ ლექციების ჩატარებას, დავალებების მართვას, შეფასებასა და პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტ კომუნიკაციას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “Front-end დეველოპმენტი“ ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების კომპეტენცია და უნარები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანება №76/23 შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დანიშნული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი. მისი კვალიფიკაცია დასტურდება დიპლომით და დარგში პრაქტიკული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და სამუშაოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება გაფორმებული ხელშეკრულებით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამის კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულება სარგებლობს ელექტრონული სისტემით Openbiblio.

ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, რითაც დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ინდიკატორის **2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ ჯერ არ ჰყოლიათ სსსმ სტატიუსის მქონე პროფესიული სტუდენტი თუმცა საჭიროების შემთხვევაში აქვთ სრული მზადყოფნა განახორციელონ შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფა.

აღნიშნული პროცედურები დაწესებულებას გაწერილი აქვს დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-03/2). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი (მუხლი 23) დეტალურად განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შსმ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციას გააზრებული აქვს არა მხოლოდ ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა, არამედ სასწავლო რესურსების ადაპტირების აუცილებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი რესურსების მორგების კონკრეტული ფორმები, როგორცაა:

- მასალების გაციფრულება და ელექტრონული ვერსიების მომზადება;
- ტექსტური მასალის ბეჭდვა სტუდენტისათვის საჭირო შრიფტის ზომისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით;
- შინაარსობრივი ადაპტაცია, რაც გულისხმობს ტექსტის გამარტივებასა და ვიზუალიზაციას, რათა მასალა აღქმადი გახდეს განსხვავებული საჭიროების მქონე პირისთვის.

აღსანიშნავია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც აკომოდაციას (სწავლის შედეგების შეუცვლელად გარემოსა და მეთოდების მორგებას), ისე მოდიფიკაციას (შედეგების თვისობრივ ცვლილებას). პროცესში სპეციალისტებისა და კომისიის ჩართულობა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო რესურსი იქნება არა ზოგადი, არამედ კონკრეტული სტუდენტის საჭიროებაზე ორიენტირებული.

წარმოდგენილი დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ დაწესებულებაში შექმნილია მყარი სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი სსსმ და შსმ პირთა სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობისთვის. პროგრამით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების მექანიზმები შეესაბამება ინდივიდუალურ მიდგომას და ორიენტირებულია სტუდენტის შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებაზე.

ექსპერტთა შეფასებით **2.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს ჯგუფში მინიმუმ - 15 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განხორციელება ხდება ვაუჩერული დაფინანსებით. გათვალისწინებული ხარჯების სახეობას წარმოადგენს: თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება; პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება; საკანცელარიო ნივთები და სახელმძღვანელო; ფართის იჯარა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. ბიუჯეტი ასახავს კოლეჯის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.2.1.7 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. ელექტრონული სასწავლო პლატფორმები;
3. სასწავლო მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერება;
4. დანართი 2. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი ადამიანური რესურსის შესახებ;
5. მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილები;
6. სასწავლო პროცესის ცხრილები;
7. დირექტორის ბრძანებები პროფესიულ მასწავლებელთა აყვანის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ;
8. პირადი საქმეები;
9. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა
10. დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანება №76/23 პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
11. „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-03/2);
12. პროგრამის ბიუჯეტი;
13. გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

24

3 19





2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევასა გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ სასწავლო გეგმა, კალენდარული გეგმები და განხორციელების ცხრილები. ექსპერტთა შეფასებით შედგენისას გათვალისწინებულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. სასწავლო გეგმა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად განხორციელების პროგნოზს.

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ნაწილობრივ დისტანციური ფორმით. შპს „თენექს“ ამისათვის დამტკიცებული აქვს „პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანებით №01-03/2), რომელიც ითვალისწინებს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართული პირების მოვალეობებს და დისტანციური სწავლების და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დისტანციურად სწავლების ფორმით ინფორმირების დოკუმენტის თანახმად სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი აქტიურად კონტროლდება სასწავლო ეკოსისტემის საშუალებით. Discord-ის სასწავლო სივრცის, GitHub Classroom-ისა და Google Classroom-ის ინტეგრაცია აძლევს შესაძლებლობას ეფექტიანად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





მართონ დავალებების გაცემის, შესრულებისა და შეფასების პროცესები, უზრუნველვყონ დროული უკუკავშირი და შეინარჩუნონ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია.

2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო მოდელი ცხადყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც გამოიხატება სწავლების მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიური ხელსაწყოებისა და უკუკავშირის მექანიზმების ერთობლიობაში.

Discord მოიცავს სასწავლო პროგრამების და სტუდენტთა საჭიროებისთვის რელევანტურ არხებს:

- საინფორმაციო არხები;
- კარიერული მხარდაჭერა;
- ადმინისტრაციული განცხადებები;
- კურსის რელევანტური სივრცეები როგორცაა დავალებების გაცემისა და მიღებისთვის მომზადებული არხები;
- პროგრამის მიხედვით დაყოფილი საკომუნიკაციო სივრცეები;
- ლექციის Streaming არხები;
- #off-topic თავისუფალი სივრცეები;
- ზოგადი არხები და სხვა მრავალი.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება ადაპტირებული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, საჭიროებებსა და სწავლის ტემპს. მოქნილობის ერთ-ერთი მთავარი გარანტია სინქრონული და ასინქრონული სწავლების ინტეგრაციაა:

- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რეალურ დროში დაესწრონ ონლაინ ლექციებს ან გამოიყენონ ლექციის ჩანაწერები გაცდენილი საათების ასანაზღაურებლად და მასალის ხელახლა გასაველეად.
- სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია უწყვეტ რეჟიმში (24/7), რაც საშუალებას აძლევს მსმენელს, მართოს სწავლის პროცესი საკუთარი გრაფიკის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ფორმატში, ფიზიკური გარემო გამოიყენება როგორც დამხმარე მექანიზმი კონსულტაციებისა და ინდივიდუალური სამუშაო სივრცის საჭიროებისათვის.

დაწესებულება ახორციელებს შემხვედრ საჭიროებებზე ოპერატიულ რეაგირებას რამდენიმე დონეზე:


- **მონიტორინგის სისტემა:** Discord-ში ინტეგრირებული Python-ის ბოტი („Big Brother“) 24/7 რეჟიმში აანალიზებს სტუდენტთა ჩართულობასა და აქტივობას. ეს მონაცემები საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას, ოპერატიულად მოახდინოს ჯგუფის შიდა მართვა და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა აღმოუჩინოს კონკრეტულ სტუდენტს.
- **მენტორინგი და ასისტენტობა:** სწავლების პროცესში ჩართული მენტორინგის სისტემა და ასისტენტების ინსტიტუტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სირთულეების დროულ გადაჭრას.
- **ანონიმური უკუკავშირი:** სისტემა რეგულარულად აგროვებს ანონიმურ უკუკავშირს, რაც საფუძვლად უდევს სასწავლო პროცესის მუდმივ ოპტიმიზაციას.

სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება ხდება ასევე სასწავლო ეკოსისტემის სოციალური კომპონენტებით:

- Discord-ის პლატფორმა უზრუნველყოფს მუდმივ კომუნიკაციას, ჯგუფური მუშაობის ორგანიზებასა და თემატურ არხებს, რაც ზრდის სტუდენტთა ჩართულობას.
- Agile მეთოდოლოგიის გამოყენებით, პროცესი მუდმივად ადაპტირდება მცირე ეტაპების (სპრინტების) შედეგებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ თანამონაწილეობას სწავლის პროცესში.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არ აქვს კომპიუტერი ლექციებზე დასასწრებად, დაწესებულება უზრუნველყოფს მისთვის შესაბამისი წარმადობის ლეპტოპის (შესაძლებელია 160 ლეპტოპის გადაცემა) გადაცემას ხელშეკრულების თანახმად, დროებით მფლობელობაში. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულების მაგალითი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ასევე თუ პროფესიულ სტუდენტს სურს ლექციებს დაესწროს კოლეჯის ტერიტორიაზე დაწესებულებას ამისთვის გამოყოფილი აქვს ხუთი B სასწავლო გარემო ჯამში 160 სტუდენტისათვის).

იმისათვის, რომ სტუდენტმა ადვილად შეძლოს დისტანციური სწავლების პლატფორმაზე ადაპტირება და მისი მიზნობრივი მოხმარება დაწესებულებას შემუშავებული აქვს „Discord-ით სარგებლობის ინსტრუქცია”.

შესაბამისად დაწესებულება თავისი მოქმედების ყველა ეტაპზე მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რომელთა იდენტიფიცირება მკაფიოდ ხელმისაწვდომია კოლეჯის სასწავლო სივრცეში.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ვიდრე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი არა მხოლოდ პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს, არამედ სრულად არის ინტეგრირებული **Front-end დეველოპმენტის** ინდუსტრიაში არსებულ აქტუალურ ტექნოლოგიებთან. დაწესებულება ახორციელებს სწავლებას ციფრული ეკოსისტემის მეშვეობით, სადაც მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები თანხვედრაშია.

პროგრამა ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ და ინოვაციურ სწავლების მოდელებს:

- **Harvard CS50 მეთოდოლოგია:** კომპიუტერული მეცნიერებების სწავლებისას გამოყენებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის მიდგომა, რაც გულისხმობს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (**Problem-based learning**) და ალგორითმული აზროვნების განვითარებას.
- **Agile პრინციპები:** სასწავლო პროცესი იმართება Agile მეთოდოლოგიით, რაც ითვალისწინებს მუშაობას მცირე ეტაპებად, მუდმივ უკუკავშირსა და პროცესების დროულ ადაპტაციას, რაც ზედმიწევნით ასახავს რეალურ სამუშაო გარემოს (სამუშაო პროცესთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმულაციური ამოცანები).
- **სწავლა-სწავლებით (Peer Learning):** დანერგილია მენტორინგის სისტემა და ასისტენტების ინსტიტუტი, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და გუნდურ თანამშრომლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სასწავლო პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები წარმოადგენს ინდუსტრიის სტანდარტს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას:

- **ვერსიების კონტროლი და კოდის მართვა:** გამოიყენება **Git** ტექნოლოგია და **GitHub Classroom**, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს კოდის რევიუ (**Code-review**), ვერსიების ისტორიის მართვა და არტეფაქტების სისტემატიზებული შეგროვება.
- **პროფესიული ფრეიმვორკები და პრე-პროცესორები:** სწავლება მოიცავს ისეთ თანამედროვე ინსტრუმენტებს, როგორცაა **React, TypeScript, Sass/scss** და **Tailwind**.
- **ხელოვნური ინტელექტი:** პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რაც ხაზს უსვამს სწავლების პროცესის აქტუალობას.

ტექნოლოგიური მიდგომა ვრცელდება ადმინისტრირების ნაწილზეც:

- **„Big Brother“ ბოტი:** Python-ზე შექმნილი მონიტორინგის სისტემა Discord-ის სივრცეში, რომელიც 24/7 რეჟიმში აკონტროლებს სტუდენტთა ჩართულობასა და პროგრესს, მონაცემებს კი ინტეგრირებულ ბაზაში (**MongoDB**) ინახავს ობიექტური შეფასებისთვის.
- **ციფრული სამუშაო სივრცე:** Discord-ის, GitHub Classroom-ისა და Google Classroom-ის ინტეგრაცია ქმნის ერთიან ციფრულ გარემოს, სადაც ხდება როგორც სინქრონული (ონლაინ ლექციები), ისე ასინქრონული (ვიდეო ჩანაწერები, ციფრული რესურსები) სწავლება.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-03/2) დოკუმენტში განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესები და პირობები (მუხლი 14). წესის თანახმად გაწერილია ის-ს შემუშავების შესაბამისი საფუძვლები, ტიპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა, პასუხისმგებელი და ჩართული პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულებას გამოცდილებაში აქვს სტატუსის აღდგენის შემდგომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. მათ მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მტკიცებულებები.

გარდა ამისა დაწესებულების მიერ გამოყენებული Agile პრინციპებით სწავლება გულისხმობს თითოეული სტუდენტის უნარების, ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში, რათა არ მოხდეს სტუდენტის ჩამორჩენა ან სასწავლო პროცესიდან გამოთიშვა. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ პროფესიული პროგრამის შეფასების შემდეგ, როდესაც გამოვლინდა კურსდამთავრებულთა მხოლოდ 8.19%-სთვის კვალიფიკაციების მინიჭება, მოახდინა მონაცემთა ანალიზი. შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დაბალი პროცენტის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა სტუდენტთა მიერ შედეგების არ დადსტურება, უმეტესად შეფასებაში არ მონაწილეობა. ამისათვის დაწესებულებამ მოახდინა რამდენიმე ეტაპიანი რეაგირება:


1. სტუდენტთა მიღების გამოცდების გართულება;
2. სტუდენტთათვის დისტანციური სწავლების შეთავაზების უზრუნველყოფა (მიმდინარე პროცესია და წარმოადგენს ვიზიტის მიზნებს);
3. ტრანსფერული უნარების განვითარება, რათა სტუდენტთა მიერ მოხდეს ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების მნიშვნელობის გააზრება;
4. Agile პრინციპებით სწავლება, რაც გულისხმობს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებას სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
5. მენტორინგის პროცესის დანერგვა, რაც თავის თავში მოიაზრებს ინდივიდუალურ კონსულტირებას სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე;
6. სტუდენტებს შორის კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ურთიერთ შეფასების (განმავითარებელი) დანერგვა რათა არ მოხდეს სტუდენტების საერთო სასწავლო სივრციდან მოწყვეტა და იზოლირება.

აღნიშნული მიდგომების განხორციელების შემდგომ სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა და დადასტურება მაქსიმალურად გაიზარდა და 90% მაჩვენებელს გასცდა.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 19





5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია.

2.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. ვინაიდან სწავლება ძირითადად დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციურია, ციფრული უსაფრთხოებისთვის

- **დაცული პლატფორმები:** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საერთაშორისოდ აღიარებული და დაცული პლატფორმების (Discord, GitHub Classroom, Google Classroom) გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობას.
- **მონიტორინგის სისტემა:** Python-ზე შექმნილი მონიტორინგის ბოტი („Big Brother“) 24/7 რეჟიმში აკონტროლებს პროცესებს, რაც საშუალებას იძლევა ადრეულ ეტაპზე მოხდეს ნებისმიერი ანომალიის ან არაეთიკური ქმედების იდენტიფიცირება.
- **მონაცემთა ბაზა:** სტუდენტების აქტივობისა და შეფასების შესახებ მონაცემები ინახება შიდა ბაზაში (MongoDB), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მთლიანობასა და დაცულობას.

იმ შემთხვევებში, როდესაც პროგრამა ხორციელდება ნაწილობრივ დისტანციურად, დაწესებულება სთავაზობს სტუდენტებს უსაფრთხო ფიზიკურ სივრცეს: სამუშაო გარემოები (A და B) - სტუდენტებს აქვთ წვდომა ფიზიკურ სასწავლო გარემოზე იმ შემთხვევებში, როდესაც მათ სჭირდებათ ფიზიკური სამუშაო სივრცე ან კონსულტაცია.


შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო გეგმა,;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

31





2. კალენდარული გეგმები;
3. სასწავლო ცხრილები;
4. „პროგრამის კომპონენტების დისტანციურად/ელექტრონული ფორმით განხორციელების გზამკვლევი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანებით №01-03/2);
5. დისტანციურად სწავლების ფორმით ინფორმირების დოკუმენტი;
6. „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-03/2);
7. ინდ. გეგმების შემუშავების მტკიცებულებები;
8. **Discord**-ით სარგებლობის ინსტრუქცია;
9. გასაუბრება შესაბამის პირებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „თენექს“ დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 ივნისის ბრძანებით №01-03/2). აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. იგი ცალსახად არეგულირებს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდაციის პროცესს, შეფასების მეთოდებს, სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროცედურას, შეფასების შედეგების გაცნობა და გასაჩივრების წესს, მტკიცებულებების მოგროვებისა და შენახვის წესს, შეფასების უწყისის წარმოშობასა და შენახვას და სხვა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხდება დისტანციურად, თუმცა დაწესებულება სტუდენტს საშუალებას აძლევს სურვილის შემთხვევაში შედეგები დაადასტუროს ადგილზე, კოლეჯში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დისტანციური სწავლების ფორმით ინფორმირების დოკუმენტის მიხედვით შეფასება ხორციელდება მრავალკომპონენტურიანი მოდელით, რომელიც მოიცავს:

- დავალებებსა და პრაქტიკულ აქტივობებს (ინდივიდუალური და ჯგუფური - განმავითარებელი შეფასების ფარგლებში);
- პროექტულ/პორტფოლიო აქტივობებს (პროდუქტის/დიზაინის/კოდის არტეფაქტების შექმნა);
- განმსაზღვრელი შეფასება - მოდულის შედეგების დადასტურება;
- კოდ-რევიუსა და დიზაინ-რევიუს სესიებს, სადაც სტუდენტები იღებენ დეტალურ განხილვასა და განმავითარებელ უკუკავშირს შესრულებულ დავალებებზე.

შეფასების ორგანიზება და მტკიცებულებების შეგროვება ხორციელდება Discord-ის სასწავლო სივრცის, ასევე GitHub Classroom-ისა (დეველოპმენტი) და Google Classroom-ის (დიზაინი) ინტეგრირებული გამოყენებით. ეს უზრუნველყოფს დავალებების გაცემის, ჩაბარების, ვადების, კომენტარების, უკუკავშირის და საბოლოო შეფასების ერთიან, დოკუმენტირებულ პროცესს.

დამატებით, Discord ეკოსისტემაში ინტეგრირებულია Python-ზე შექმნილი მონიტორინგის ბოტი („Big Brother“), რომელიც 24/7 რეჟიმში აკონტროლებს დასწრებას, აქტივობას, სესიებში გატარებულ დროს, დავალებების შესრულებასა და ჯგუფურ სამუშაოებში ჩართულობას, აგროვებს ანონიმურ უკუკავშირს და ქმნის გაზომვად მონაცემებს. ეს მონაცემები ინტეგრირებულია შიდა ბაზასთან (MongoDB) და გამოყენებულია ხარისხის მართვის პროცესში, რათა შეფასება იყოს მაქსიმალურად ობიექტური და გადაწყვეტილებები - მონაცემებზე დაფუძნებული.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რომელმაც დაადასტურა მექანიზმისა და სისტემის რეალური გამოყენება.

შესაბამისად, **2.4.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3/19





2. შპს „თენექს“ ხარისხის მექანიზმების დოკუმენტში გაწერილი აქვს ვერიფიკაციის პროცესი და თანმდევი შედეგი (მუხლი 5). ვერიფიკაციის პროცესი ეფუძნება ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებულ წინასწარ გეგმასა და რისკების სისტემას. პროცესში ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდი:

- ხარისხის მენეჯერი და კოორდინატორი: პროცესის ადმინისტრირება.
- დარგის სპეციალისტი: ახორციელებს შინაარსობრივ შეფასებას. მოქმედებს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მექანიზმი: პირი, რომელმაც მოახდინა ინსტრუმენტის ვალიდაცია, ვერ განახორციელებს მის ვერიფიკაციას.
- გარე ექსპერტები: დამსაქმებლები ან მოწვეული სპეციალისტები ობიექტურობის ხარისხის ასამაღლებლად.

ვერიფიკაცია არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ პერიოდული ციკლია (4-6 თვეში ერთხელ), რომელიც სრულდება წერილობითი დასკვნით. ვერიფიკაციის შედეგები ტრანსფორმირდება სამოქმედო გეგმაში, რომელიც მოიცავს პრობლემების გადაჭრის გზებს, ვადებსა და ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ვერიფიკაციის განხორციელების მტკიცებულებები, ხარისხის სამოქმედო გეგმა. შესაბამისად **2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის თანახმად შეფასების მტკიცებულებები ინახება პროგრამის კოორდინატორთან მათი ფორმირებიდან სამი წლის ვადით. შეფასების უწყისები აღირიცხება ელექტრონულად. ასევე კომპანიაში არქივის შემოსვლამდე ინახება მატერიალური სახით. უწყისების შენახვის ვადა არის 75 წელი.

2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროგრამის ფარგლებში დანერგილი შეფასების სისტემა წარმოადგენს დინამიკურ მექანიზმს, სადაც თითოეული მიღებული შედეგი პირდაპირ ტრანსფორმირდება სტუდენტის ინდივიდუალურ განვითარების გეგმად. Agile მეთოდოლოგიის გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ სწავლის პროცესი დაიყოს მცირე ციკლებად, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, ყოველი სპრინტის დასრულებისთანავე მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი და დროულად აღმოფხვრას ცოდნაში არსებული ხარვეზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



GitHub Classroom-ის პლატფორმაზე განხორციელებული კოდის რევიუ (Code-review) უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების სიღრმისეულ ანალიზს, სადაც მასწავლებლები და ასისტენტები სტუდენტს კონკრეტულ ტექნიკურ რეკომენდაციებს აწვდიან კოდის ოპტიმიზაციისთვის. Python-ზე დაფუძნებული მონიტორინგის სისტემა მუდმივ რეჟიმში აანალიზებს სტუდენტთა პროგრესს, რაც ადმინისტრაციას აძლევს საშუალებას, დაბალი აქტივობის გამოვლენისთანავე შესთავაზოს პირს ინდივიდუალური მხარდაჭერა.

შეფასების შუალედური მონაცემების საფუძველზე დაგეგმილი დამატებითი მენტორინგისა და კონსულტაციების სესიები მიზნად ისახავს რთულად ასათვისებელი საკითხების ხელახალ განმარტებას და პრაქტიკული კომპეტენციის განმტკიცებას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებული Harvard CS50-ის მეთოდოლოგია კი ხელს უწყობს, რომ შეფასების შედეგად გამოვლენილი ლოგიკური შეცდომები სტუდენტმა დამოუკიდებელი კვლევისა და ალგორითმული აზროვნების გზით გამოასწოროს. ყოველი შესრულებული დავალება თუ პრაქტიკული პროექტი, რომელიც შეფასების სისტემას გადის, საბოლოოდ სტუდენტის პროფესიულ პორტფოლიოში ერთიანდება და მის კარიერულ წინსვლას უდებს საფუძველს.

დაწესებულება აქტიურად იყენებს ანონიმურ უკუკავშირსაც, რათა თავად შეფასების პროცესებიც მუდმივად დაიხვეწოს სტუდენტთა საჭიროებების შესაბამისად. სწორედ ამ მეთოდების სინერგია უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს მხოლოდ ფორმალური, არამედ იქცეს სტუდენტის პროფესიული ზრდის უწყვეტ სტიმულატორად. საბოლოო ჯამში, მონაცემთა ბაზაში დაგროვილი ინფორმაცია MongoDB-ის მეშვეობით იძლევა საშუალებას, მოხდეს თითოეული მსმენელის პროგრესის ასახვა და მათთვის ოპტიმალური სასწავლო ტემპის შენარჩუნება.

2.4.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.


დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 28 ივნისის ბრძანებით №01-03/2);
2. სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
3. ხარისხის მექანიზმები;
4. ვერიფიკაციის განხორციელების მტკიცებულებები;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

35

3 19





- 6. დისტანციურად სწავლების ფორმით ინფორმირების დოკუმენტი;
- 7. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

19.02.2026

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 3/19

